



პარაკლისი წმიდისა დიდისა მოწამისა ძლევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედისა გიორგისი

მღდელმან: კურთხეულ არსი.

და უკეთუ ერისკაცია, იტყვის: ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთაითა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვიწყალებ ჩუენ, ამინ.

დიდებაი შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაი შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხორებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩუენ შორის და წმიდა-მყვენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგვიწყალებ ჩუენ (3-გ ზის).

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალებ ჩუენ; უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგვიინდვენ უშჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა შენისათვის.

უფალო, შეგვიწყალებ (3-გ ზის).

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაი შენი, იყავნ ნებაი შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა

ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაი მომეც ჩუენ დღეს, და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

მღდელმან: რამეთუ შენი არს სუფევაი...

უფალო, შეგვიწყალენ (12-გ ზის).

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაი, ყურად-იღე ვედრებაი ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა, შეისმინე ჩემი სიმართლითა შენითა და ნუ შეხუალ საშჯელსა მონისა შენისა თანა, რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი, რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქუეყანად ცხორებაი ჩემი, დამსუა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკუდარი საუკუნოი, და მოეწყინა ჩემთანა სულსა ჩემსა, და ჩემ შორის შემიდრწუნდა გული ჩემი. მოვიხსენე დღეთა პირველთაი, და ვიწურთიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა ხელთა შენთასა ვზრახევდ. განვიპყრენ შენდამი ხელნი ჩემნი, და სული ჩემი, ვითარცა ქუეყანაი ურწყული შენდამი. მსთუად შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა; ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, და ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღვიმესა. მასმინე მე განთიად წყალობაი შენი, რამეთუ მე შენ გესავ; მაუწყე მე, უფალო, გზაი, რომელსაცა ვიდოდი, რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი. მიხსენ მე მტერთა ჩემთაგან, უფალო, რამეთუ შენ შეგევედრე.

მასწავვე მე, რაითა ვყო ნებაი შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი; სული შენი სახიერი მიძლოდენ მე ქუეყანასა წრფელსა. სახელისა შენისათვის, უფალო, მაცხოვნო მე და სი-მართლითა შენითა გამოიყვანო ჭირისაგან სული ჩემი, და წყალობითა შენითა მოსრნე მტერნი ჩემნი და წარსწყმიდნე ყოველნი მაჭირვებელნი სულისა ჩემისანი, რამეთუ მე მონაი შენი ვარ.

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაი შენდა ღმერთო.
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაი შენდა ღმერთო.
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაი შენდა ღმერთო ჩუენო,
დიდებაი შენდა.

ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩუენ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა.

მუხლი .1. აუვარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაი მისი.

მუხლი .2. ყოველი თესლები გარე მომადგა მე, და სახელითა უფლისაითა ვერეოდე მათ.

მუხლი .3. არა მოვკუდე, არამედ ვცხოვნდე, და განვსთქუნე მე საქმენი უფლისანი.

მუხლი .4. ლოდი, რომელ შეურაცხევეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა, უფლისა მიერ იყო ესე, და არს საკვირველ წინაშე თუალთა ჩუენტა.

ტროპარი, ხმაი 4

ტყუეთა განმათავისუფლებელო, და გლახაკთა ხელის ადმპრობელო, სნეულთა მკურნალო, და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღუაწლითშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩუენტათვის.

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

სხუაი ტროპარი, ხმაი 4

ილუაწე შენ ფრიად ქრისტესთვს და სარწმუნოებისათვს მისისა, და ვნებანი იგი ფიცხელნი დაითმინენ და ამხილე მძლავრთა უღმრთოებასა, ხოლო მსხუერპლად ღმრთისა კეთილშეწყნარებულად შეიწირე, ამისთვსცა გვრგვნი ძლევისად მიიღე და აწ მეოხებითა შენითა, წმიდაო მოწამეო გიორგი, მოგუანიჭებ ყოველთა ცოდვათა მოტევებასა.

აწდა...

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

არა სადა დავსდუმნეთ, ღმრთისმშობელო, ძლიერებათა შენთა ქებად, უღირსნი ესე მონანი შენნი, რამეთუ არა თუმცა შენ გუფარევდი ოხითა შენითა, ვინმცა სადა გვიხსნა ჩუენ ესოდენტა ჭირთაგან, ანუ ვინმცა დაგვიცვნა ჩუენ აქამომდე ფლობილად; არასადა განგემორნეთ ჩუენ, დედოფალო კურთხეულო, რამეთუ შენ იხსნი სულთა ჩუენტა ყოველთა განსაცდელთაგან.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უშჯულოებაი ჩემი. უფროის განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე, რამეთუ უშჯულოებაი ჩემი მე უწყი, და ცოდვაი ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ, რაითა განმართლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო სჯასა შენსა, რამეთუ ესერა, უშჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან. რამეთუ ესერა, ჭემმარიტებაი შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაი და სიხარული და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა

ჩემთაგან და ყოველნი უშჯულოებანი ჩემნი აღბოცენ. გული წმიდაი დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაი და სულითა მთავრობისაითა დამამტკიცე მე. ვასწავლნე უშჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მოიქცენ. მიხსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაი ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუენ, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მეწირა, არამედ საკუერთხი არა გთნდეს. მსხუერპლ ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენნენ ზღუდენი იერუსალემისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაი, შესაწირავი და ყოვლად-დასაწუელი, მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

გალობა 1, უგალობდითსა, ჳმა 1 გუერდი

ძლისპირი: ეტლთა სიმრავლჳ მკედრებითურთ ზღუასა მეწამულსა სიღრმესა შთაითხინეს სიმტკიცითა მკლავისადათა ქრისტეს მიერ და იკსნეს ისრაელნი, და ძლევისა გალობასა ახლად იტყოდეს.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს

მადლი მომანიჭე მე სულისა წმიდისა საუნჯეთაგან, ქრისტე ღმერთო, აღმიღე პირი და ენა შეთხზვად ქებისა გვრგვნისა, გალობად გიორგი მოწამისა, ბრწყინვალედ შუენიერისა.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

ახოვნად მოთმინებითა და ძლიერებითა იღუაწე შენ ჳორციითა და განჳბრწყინდი სულითა და ღირს იქმენ შენ სარწმუნოებითა სრულითა აღნათქუამთა მათ კეთილთა, ღმერთშემოსილო გიორგი.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ლოცვად მართლმადიდებელთად შეიწირე, ქრისტე, მოქადულთა შენითა ორითა მით ბუნებითა, და ორითა ნებითა და საქმითა აღმსაარებელნი შენნი აცხოვნენ მკნისა მიერ გიორგისა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გუნდმან წინადაწარმეტყუელთამან წინადთ მოგასწავა შენ მთად საღმრთოდ და კარად განუვლელად, ამისთვისცა გევედრებით: კარნი სინანულისანი საღმრთონი განგვხუენ ჩუენ, ქალწულო.

გალობა 3, განძლიერდასა

ძლისპირი: რომელმან დააფუძნე ქუეყანად წყალთა ზედა და მიეც ნაყოფიერებად ყოლადვე, კლდესა ზედა, ქრისტე, მცნებათა შენთასა შეუძრავსა დაამტკიცე ეკლესიად შენი, მხოლოო სახიერ და კაცთ-მოყუარე.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

მოიგე მოწყალეობად და განაგდე სიმდიდრწ სოფლისა ამის წარმავალისად, ღირსო ქებისაო, და ღმრთისა სიყუარულითა მიეც მონაგები შენი გლახაკთა და თავი შენი მსხუერპლად ქრისტესა, მკნეო გიორგი, აწცა მვედრებელთა შენთათვს ნუ დააცადებ მეოხებასა.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

მიისწრაფე, მკნეო, სამშჯავროსა მეკერპისა მის მეფისა და მზაკუვარისა კრებულისა, წმიდაო გიორგი, და ჰქადაგე ქრისტე თანა მამით და სული წმიდითურთ.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ქრისტეს სარწმუნოებითა მტკიცითა, გონებითა სრულითა და სასოებითა წარსდევ ურმისთუალსა მას საშინელსა, ღმრთივსანატრელო, მკნეო გიორგი, და განჰბანე გუამი და სამოსელი შენი სისხლთა დათხევითა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ქრისტეს მარჯუენითა მდგომარემან, ვითარცა დედოფალმან შემოსილმან, ღმრთივსახარულევანო, სამოსლითა ოქროვანითა, სუფევად ზეციერი გვთხოვე ჩუენ, ქალწულო, ყოვლადწმიდაო.

გვკსნენ განსაცდელთაგან მარადის მსასოებელნი სიწმიდისა შენისანი, ღუაწლითშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, რამეთუ ჩუენ ყოველნი შენდა მოვივლტით, ვითარცა უძლეველისა ზღუდისა და შუამდგომელისა.

მოიხილე ჩუენ ზედა, ყოვლად ქებულო ღმრთისმშობელო, და ჯორცთა ჩუენთა წყლულებანი ბოროტნი განჰკურნენ და სულისა ჩუენისა სნეულებანი.

მღდელომან: შეგჳწყალენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, კაცთმოყუარე, გევედრებით, ისმინე და შეგჳწყალენ.

გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ (3-გ ზის).

მღდელომან: მერმეცა გევედრებით ღმრთივდაცულისა ერისა ჩუენისა და მეუფებისა მისისათჳს (ქრისტესმოყუარისა მთავრობისა და მკედრობისა მისისათჳს).

გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ (3-გ ზის).

მღდელომან: მერმეცა გევედრებით უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოდს კათოლიკოს-პატრიარქისა, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსისა, დიდისა მეუფისა, მამისა ჩუენისა ილიასათჳს, და ყოვლადუსამღდელოესისა (აქა მოიკსენეთ

ადგილობრივი მღვდელთმთავარი), და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათა ჩუენთათჳს.

გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).

მღვდელმან: მერმეცა ვევედრნეთ უფალსა ღმერთსა ჩუენსა, რადთა შეიწყალოს მონა ანუ მჳევალი (აჳა მოიხსენეთ სახელდებით ისინი, ვისთვისაც ევედრებით). განამრავლენ, უფალო, ჟამნი და წელნი ცხორებისა მათისანი და იჳსენ იგინი, უფალო, ყოვლისაგან ჳირისა, რისხვისა და იწროებისა, და ყოვლისაგან წყლოულებისა სულისა და ჳორცთადასა და მიუტევენ მათ ყოველი შეცოდებანი მათნი, ნებსითნი და უნებლიეთნი.

გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).

მღვდელმან: მერმეცა გევედრებით ყოველთა მართმადიდებელთა ქრისტეანეთათჳს.

გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).

მღვდელმან: რამეთუ მოწყალე და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

წარდგომაჲ, ჳმაჲ 4

ღუაწლი კეთილი მოიღუაწე სარწმუნოებითა, ღუაწლითშემოსილო ქრისტესო, და მძლავრთა უღმრთოებაჲ ამხილე, მჳნეო გიორგი, ვინაჲცა გჳრგჳნი სიმართლისაჲ ღირსად მიიღე და მსხუერჳლად სათნოდ ღმრთისა შეიწირე, წმიდითა მეოხებითა შენითა მიანიჳებ ყოველთა ცოდვათა შენდობასა. დიდებაჲ... აწდა...

მეოხო მვედრებელთა და მადიდებელთა შენთაო, პატოსანო მარტვლო, ქრისტჳს სარწმუნოებისათჳს წამებულო, წმიდაო გიორგი, ევედრე გვრგვნოსანმყოფელსა შენსა იესუს, რადთა მოიხილოს ერსა თჳსსა ზედა, რომელსა არა აქუს სიტყვსგებაჲ წინაშე მისა, და დაიცვას ყოვლისაგან ჭირისა და საფრჯეთაგან ეშმაკისაჲთა, და აცხოვნოს სულნი ჩუენნი, ვითარცა მოწყალე არს.

გალობაჲ 4, უფალო მესმასა

ძლისპირი: ესმა მოსლვაჲ შენი დიდებული, დაუკვრდა ამბაკუმს, ქრისტე, და შიშით ღაღადებდა: გამოხუედ მაცხოვრად ერისა შენისა და ჳსნად ცხებულთა შენთა.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენტჳს.

ეჩუენე აღჭურვილი ჯუართა უშჯულოთა მძლავრთა, და სძლე ძალითა ქრისტჳსითა, ხოლო შეცთომილნი ერნი მოაქციენ ღმრთისმსახურებად საკვრველად, სასწაულთა დიდთა აღსრულებითა.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენტჳს.

ნაკლულევანთა მათ ცუდთა კერპთა ამხილე ახოვნებით და შეჳმუსრენ საღმრთოჲთა შურითა, აწ მოიხილე ჩუენ ზედა და გარე წარგვხადე განსაცდელნი და ეშმაკთა კვეთებანი მეოხებითა შენითა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

მიუწდომელი სიმდაბლჳ შენი, ჳორცთა შესჳმითა ჳსნაჲ ჩუენი, ქრისტე მჳსნელო, ქალწულისაგან ქადაგა წმიდამან მთავარმოწამემან გიორგი, წინაშე უშჯულოთა მძლავრთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შემეწიე მე, წმიდაო ღმრთისმშობელო, გემოვნებითა მიერ ჯორციელთა მარადის დანთქმულსა, რომელი ესე ვკუნესი მარადლე მდებარე ცხედარსა ზედა მოწყინებისასა.

გალობაჲ 5, ღამითგანსა

ძლისპირი: რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, შენდა მოვვლტი, შენ გილაღადებ: განანათლე სული ჩემი დაბნელებული, ვითარცა ხარ მხოლოდ, მრავალმოწყალე.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

სიმახვლჳ რკინისაჲ და სიმჯურვალჳ ცეცხლისაჲ შეურაცხ-ყავ ახოვნებით და ეტყოდი მძლავრთა: „იცანთ შემოქმედი თქუენი“, და მათ სასმენელნი დაეყუნეს მსგავსად გუელთა ასპიტთა.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

ღმობილ ექმენ შენ ვნებათა ქრისტჳსთა და მსგავსად მისსა მიეც თავი შენი სატანჯველთა და სიკუდილსა, აწ მომეც ჩუენცა ძალი, სიმჴნჳ და სიბრძნჳ დათრგუნვად მანქანებათა მტერისაჲთა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

სიქადულით აღგიარებდა შენ, ქრისტე, წმიდა დიდ-მოწამე გიორგი, წინაშე მძლავრთა ორითა მით ბუნებითა და სრულითა ჳელმწიფებითა ღმრთეებისა შენისაჲთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

რომელსა იგი ვერ მისწვდების გონებაჲ, ჳორცნი შეიმოსნა, ღმრთივმიმადლებულო, და შენ სამკვდრებელად თჳსად შეგიწყნარა და იჳსნნა კაცნი.

გალობა 6, ღალადყავსა

ძლისპირი: გარე-მომიცვეს ღელვათა, და მექმნა საფლავ მუცელი ვეშაპისად, და გიღალადებ: მიჰსენ მე, კაცთმოყუარე, და მაცხოვრე მე, მრავალმოწყალე უფალო.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

წარსდეგ წმიდითა გონებითა და სარწმუნოებითა მტკიცითა, ახოვანო გიორგი, წინაშე უშჯულოთა მძლავრთასა და ჳმა-ყავ ღმრთი-სა მიმართ მაღლისა: „უფალო, მიჰსენ მონაა შენი უღმრთოთაგან“.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

მოვიდა შენდა შეწევნაა საღმრთოდ და განგკურნა ყოველთაგან სატანჯველთა, აწცა განმარინნე ჩუენ, ღუაწლისა მძლეო, მჳნეო გიორგი, ჳორცთა საღმობათა და ურვათაგან.

დიდებაა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა

ვითარცა ვარსკულავი მნათობი აღმობრწყინდი შენ მრავალთა ტანჯვათაგან, სულითა უძლეველო გიორგი, და განანათლე ეკლესიაა ქრისტჳს ღმრთისაა ღუაწლთა შენთა სისხლითა, ვითარცა მოწეულითა.

აწ და მარადის და უჳუნითი უჳუნისამდე, ამინ.

გულსა შენსა განვლო მახჳლმან, იხილე-რად ჳუარსა ზედა ძჳ შენი, უბიწოო ქალწულო, და საღმრთოდ გუერდი მისი ღახვრისა მიერ მოწყლული და გოდებდ სიმწარით.

გჳჳსნენ განსაცდელთაგან მარადის მსასოებელნი სიწმიდისა შენისანი, ღუაწლითშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, რამეთუ ჩუენ ყოველნი შენდა მოვივლტით, ვითარცა უძლეველისა ზღუდისა და შუამდგომელისა.

მოიხილე ჩუენ ზედა, ყოვლად ქებულო ღმრთისმშობელო, და ჯორცთა ჩუენტა წყლულებანი ბოროტნი განჰკურნენ და სულისა ჩუენისა სნეულებანი.

მღდელომან: მერმე და მერმე მშჯდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალონ.

მღდელომან: შეგუეწიენ, გუაცხოვნენ, შეგჯწყალონ და დაგჯცვენ ჩუენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

გუნდი: უფალო, შეგჯწყალონ.

მღდელომან: ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროდსად კურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომჯსენებელთა, თავნი თჯსნი და ურთიერთარს, და ყოველი ცხორებაჲ ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შეგვედროთ.

გუნდი: შენ, უფალო.

მღდელომან: რამეთუ შენ ხარ მეუფჯ მშჯდობისაჲ, და მაცხოვარი სულთა ჩუენტა, და შენდა დიდებასა აღუავლონთ მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გუნდი: ამინ.

კონდაკი, ჯმაჲ 4

მოიმუშაკე ღმრთისა მიერ და გამოსჩნდი მუშაკად ჰატოსნად ღმრთისმსახურებისა, გიორგი, და სათნოებათა მჭელეული შეუჯრიბე თავსა თჯსსა, რამეთუ ცრემლით ჰსთესე და სიხარულითა მოიმკე, სისხლი დასთხიე და მოლუაწებითა ქრისტე შეიძინე, და აწ მეოხებითა შენითა, იჯსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუენტა.

მღდელომან: მოხედენ, სიბრძნით.

წარდგომა სახარებისა, **კმა** 4.

საკვრველ-არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა, ღმერთი ისრაელისა.

მუხლი: იქადიან წმიდანი დიდებითა და იხარებენ სარეცელსა ზედა მათსა.

მღდელომან: უფლისა მიმართ ვილოცოთ.

გუნდი: უფალო, შეგვწყალონ.

მღდელომან: რამეთუ წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩუენო, და რომელი წმიდათა შორის განისუენებ, და შენდა დიდებასა აღვაველეთ, მამისა, და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე,

გუნდი: ამინ.

მღდელომან: ყოველი სული აქებდით უფალსა.

მუკლი: აქებდით ღმერთსა წმიდათა შორის მისთა, აქებდით მას სამყაროთა ძალისა მისისათა.

მღდელომან: ღირსყოფად ჩუენდა სმენად წმიდისა სახარებისა უფალსა ღმერთსა ჩუენსა ვევედრნეთ.

გუნდი: უფალო, შეგვწყალონ. (3-გ ზის)

მღდელომან: სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმიდა სახარება, მშუდობად ყოველთა.

გუნდი: და სულისაგა შენისა თანა.

მღდელომან: მათესაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი.

გუნდი: დიდებაჲ შენდა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

მღდელმან: მოხედენ.

სახარებაჲ მათესი

ჰრქუა უფალმან თვსთა მოწაფეთა: აჰა, მე მიგავლინებ თქუენ ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა; იყვნით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკონი ვითარცა ტრედნი. ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემდენ თქუენ კრებულსა და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ; და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანენ თქუენ ჩემთვის საწამებელად მათდა და წარმართთა. და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ სული მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ შორის, რამეთუ მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ, და ძმამან შვილი; და აღსდგენ შვილი ძმადედათა ზედა და მოჰკვლიდენ მათ; და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის, ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს.

გუნდი: დიდებაჲ შენდა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

დიდებაჲ ძამასა და ძესა და წმიდასა სულსა

მეოხებითა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისითა, მოწყალო, აღვოცენ ცოდვათა ჩუენტა სიმრავლენი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, მოწყალო, აღვოცენ ცოდვათა ჩუენტა სიმრავლენი.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღჯოცენ უშჯულოებაჲ ჩემი და შემიწყალე მე, ღმერთო.

გუნდი: ნუ უღირს იჩენ გულსმოდგინედ ვედრებასა ჩუენსა, მეუფეო, რომელნი ესე გევედრებით შუამდგომელობითა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისითა, რამეთუ მან სახელისა შენისათჳს წმიდისა, სრულიად დაითმინა ტანჯვანი, არამედ ოხითა მისითა შეგჳწყალენ და გუაცხოვნენ ჩუენ, მრავალმოწყალეო ღმერთო.

მღდელომან: აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი, და აკურთხე სამკჳდრებელი შენი, მოხედენ სოფელსა შენსა წყალობითა და მოწყალებითა, აღამალლე რქად ქრისტეანეთა მართლმადიდებელთაჲ, და გარდამოავლინენ ჩუენ ზედა მდიდარნი წყალობანი შენნი, მეოხებითა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისაჲთა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა, ძლიერებითა ჯუარისა ვაზისაჲთა და ივერიის კარის ღმრთისმშობლის ხატისაჲთა, მეოხებითა პატიოსანთა უსხეულოთა ზეცისა ძალთაჲთა, პატიოსნისა, დიდებულისა, წინაღსწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა, წმიდისა წინასწარმეტყუელისა ილია თეზბიტელისა და მართლისა ენუქისითა, წმიდათა დიდებულთა, და ყოვლადქებულთა მოციქულთა თავთა, პეტრესა და პავლესითა, წმიდისა მოციქულისა თომასი და საქართველოს განმანათლე-ბელთა მოციქულთა: ანდრია პირველწოდებულისა, სვიმონ კანანელისა და მატათასითა; წმიდისა დედისა ჩუენისა, მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოდსითა, წმიდა მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანაჲსითა; წმიდათა შორის მამათა ჩუენთა, და მსოფლიოთა დიდთა მოძღუართა და მღდელოთმთავართა, ბასილი დიდისა, გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა, და იოვანე ოქროპირისაჲთა, წმიდათა შორის

მამისა ჩუენისა ნიკოლოზ მრონლოუკიის მთავარეპისკოპოსისა და
საკვ-რველთმოქმედისადათა და წმიდისა ღირსისა მამისა ჩუენისა
იოვანე ზედა-ზნელისა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა, მეორედ
განმანათლებელთა საქართველოს ეკლესიისა და მარად მფარველთა
მისთა; წმიდათა დიდებულთა და ლუაწლისა-მძლეეთა მოწამეთა:
არგვეთისა მთავართა დავით და კონსტანტინსა და წმიდისა
დიდისა მოწამისა შალვა ახალციხელისადათა; წმიდისა მთავარ-
მოწამისა ბიძინასა და წმიდათა დიდებულთა მოწამეთა: შალვა და
ელიზბარ ქსნის ერისთავთადათა; წმიდისა მღდელ-მოწამისა ნეოფიტე
ურბნელისა და წმიდისა დიდისა მოწამისა აბო ტფილელისაითა;
წმიდათა დიდთა ქალწულ-მოწამეთა ბარბარსსა და მარინსსითა;
ღმრთივ-განბრძნობილთა ნეტართა მამათა: ილარიონ ქართველისა,
სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელისადათა; ღირსთა
მამათა ჩუენტა ათონელთა: იოვანე და გაბრიელ ქართველთა, იოვანე
თორნიკ-ყოფილისა და ეფთჳმე და გიორგი მთაწმინდელთა;
წმიდათა კეთილ-მორწმუნეთა და დიდთა მეფეთა ჩუენტა: ვახტანგ
გორგასალისა, აშოტ კურაპალატისა, დავით აღმაშენებელისა და
სოლომონისადათა; წმიდისა და კეთილმსახურისა მეფისა
თამარისითა, წმიდათა კეთილად მძლეეთა მეფეთა და დედოფალთა:
არჩილ, დემეტრე, შუშანიკ, ქეთევან და ლუარსაბისადათა; წმიდათა
ათთა-ბევრთა მოწამეთა, ტფილისს ხუარაზმელთაგან
მოწყუედილთა; წმიდათა მოწამეთა ექვსი ათასთა გარეჯელთა
ბერთა; წმიდისა ილია მართლისადათა; წმიდათა და მართალთა
მშობელთა ღმრთისმშობელისა იოაკიმ და ანნადსითა (და წმიდისა
სახელი, რომლისა არს ტამარი), წმიდისა დიდებულისა და
ლუაწლისა-მძლისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა გიორგისადათა და
ყოველთა წმიდათა შენტადათა გევედრებით შენ, მრავალმოწყალეო
ღმერთო, შეისმინე ჩუენ ცოდვილთა ვედრებად, და შეგვწყალენ ჩუენ.

გუნდი: უფალო, შეგვწყალენ (12-გზის).

მღდელმან: წყალობითა და მოწყალებითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდშობილისა ძისა შენისადათა, რომლისა თანა კურთხეულ ხარ, თანა ყოვლადწმიდით, სახიერით, და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

გალობა 7, კურთხეულარსა

ძლისპირი: უფროდსად ამაღლებულმან ღმერთმან მამათა ჩუენთამან საჯუმილი მოტყინარჴ ყრმათა მათ განუქარვა და იგინი ღაღადებდეს: ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთჴს.

სახედ მსხუერპლისა შესწირენ სულნი და ჯორცნი ქრისტესა, სანატრელო გიორგი, სატანჯველთა სიმრავლითა და ესრეთ ღაღადებდ: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ“.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთჴს.

მქადაგებელ გამოსჩნდი დევნულისა სარწმუნოებისა, ხოლო მამხილებელ ბნელსა მაცთურებისასა, წმიდაო გიორგი, და ჰსთქუ: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ“.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა

ნათელო გამოუთქმელო, შენ, უხილავო მამაო, სიტყვთ შენით და სულით, სამებაო ერთარსებაო, გიგალობდა წმიდაა გიორგი: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ“.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

აღმოგვბრწყინდა ჩუენ შენ მიერ მზღ იგი დაუღამებელი, ღრუბელი ბრწყინვალეო, ქრისტე ღმერთი ჩუენი, განმანათლებელი უმეცრებისა ბნელსა შინა მყოფთა, ღმრთისმშობელი.

გალობაჲ 8, აკურთხევედითსა

ძლისპირი: შენ, მხოლოსა, დამბადებელსა ყოველთასა გალობაჲ სულიერი გიღაღადეს ყრმათა: ყოველნი საქმენი უფალსა უგალობდით და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

ეტყოდე მძლავრსა მეფესა უშჯულოსა: „არაჲ ვმსახურებ კერპთა შენთა უსულოთა“, არამედ აღამაღლებდ ქრისტესა ღმერთსა, სანატრელიო გიორგი, უკუნისამდე.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

თითოსახეთა სატანჯველთა სასტიკთა გუამი შენი განკაფეს, მკნეო გიორგი, ხოლო უფალმან განგაახლა და ღაღად-ყავ: „აღგამაღლებ შენ, ღმერთო, უკუნისამდე“.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დროებითი იგი შუენიერებაჲ შეგერაცხა ვითარცა არა რაჲ, და საშინელსა მას შემუსვრასა არა ჰრიდე და იტყოდი მტკიცითა სულითა: „აღგამაღლებ შენ, ღმერთო, უკუნისამდე“.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შენ მიერ ჩუენთჳს ჯორცშემოსილმან ღმერთმან, შენ, წმიდაჲ და ყოვლად უბიწოდ, ყოვლისა ნათესავისა ჩუენისა საღმრთო შუამდგომელ გამოგაჩინა, ქალწულო, ამისთჳს მორწმუნენი ჳმამაღლად გიგალობთ შენ.

გალობა 9, ადიდებდითსა

ძლისპირი: ესადა, მხიარულ-იყავ, ქალწულმან მუცლად-ილო, და შვა ძღ დაუსაბამოდ ევმანუელ, ღმერთი და კაცი, აღმოსავალ სახელი მისი. მას ვადიდებდეთ, და რომელმან შვა იგი, ვნატრიდეთ.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

ჰბრწყინავ ნათლითა წამებისადათა, მკნეო გიორგი, და გვრგვნითა მარტვლთათა შემკული წინაშე ღმრთისა, ელვარედ მდგომარე ხარ წმიდათა თანა, მვედრებელთა შენთათს ნუ დააცადებ მეოხებასა.

წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

ყოველსა სოფელსა აზიარებს სიხარულსა ქალაქი ლოდი, სადა აწ დაუნჯებულ არს კურნებისმომცემელი ნეშტი შენი ლუსკუმსა შინა, და უშურველად აღმოაცენებს წყალობასა და მადლსა ჭემმარიტსა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

მარტვლობისა მის შენისა კადნიერებითა, ყოვლად ქებულო გიორგი, გვექმენ მკურვალე შუამდგომელ ღმრთისა მიმართ ჩუენისა, რაათა განაბნოს მტერნი ჩუენნი ურიცხვი და შეგვკრიბოს განბნეული ერი ქართველთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შენ სასანთლედ ბრწყინვალედ წინადაწარმეტყუელმან წინადათ გიხილა, ყოვლადუბიწოო, მქონებელი ქრისტეს, გონიერისა მის სანთლისა, რომლისა მიერ განვნათლდით ჩუენ სიბნელესა შინა ვნებათასა მდებარენი, ამისთვს ვნატრით შენ, ღმრთისმშობელო, მარადის ქალწულო.

ღირს არს ჭემმარიტად, რაათა ვადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად

ღმრთისა ჩუენისა, უპატოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უხესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

მღდელომან აკმიოს

მოვედით სარწმუნოებისა მკვდრნო ერნო, მართლმადიდებელნო, ვიხარებდეთ და მარადლე უგალობდეთ საკვრველსა და ჭემმარიტად ახოვანსა მოწამესა, ღუაწლისა-მძლესა გიორგის, რამეთუ მკურვალედ მვედრებელთა მისთა მიანიჭებს მადლსა უშურველად.

ჟ, ახოვანო მკედარო ქრისტჳს ღმრთისაო, წმიდაო მოწამეო გიორგი, ვითარცა შენ ხარ მეოხი და მსწრაფლშემწე მომწოდებელთა შენთად განსაცდელთა შინა, მეცა ძვრთა საღმობათა და ცოდვათაგან განმათავისუფლე და აღმავსე სიყუარულითა საღმრთოთა.

ჟ, ღუაწლითშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი, რომელმან მრავალ გზის დააცხრვენ ჭირთა მძვნვარებანი, მოწევნადი ნათესავსა ჩუენსა ზედა, აწცა განაქარვე მზაკუვარებად ურიცხუთა მტერთა ჩუენთად, რომელთა განიგდეს წილი სამკვდრებელსა ჩუენსა ზედა, და მკვდრნი მისნი დაგვიცევ უცხო თესლთა ზედა მოსღვისაგან და განსაცდელთა.

ჟ, ყოვლად ქებულო ახოვანო მარტვლო, ვითარ ძუელად აჩუენე საკვრველი მფარველობად შენი სარწმუნოებით აღმსთობილსა ერსა ჩუენსა, ეგრეთვე აწ გვთხოვე, წმიდაო, შეურყეველად დაცვად ეკლესიათად, მოცემად ჯუარითა ძლევად ერსა ჩუენსა და სიმტკიცჳ მორწმუნეთად და აღმაღლებად რქისა მათისად, მწვალებელთა მათ ზედა, მშვდობად სოფელსა და წყალობად შენდამი მგალობელთა.

ჟ, ღუაწლითშემოსილო, წმიდაო მოწამეო გიორგი, მტკიცესა მას შენსა შეწევნასა მარადის შევრდომილნი, შეგვაწყნარე მფარველსა ერისა ჩუენისასა, ქალწულსა მარიამს, რადთა არა ვიქმნეთ საყუედრელ და საცინელ წარმართთა და მწვალებელთა, არამედ

მამულისა ჩუენისა კაცთა წესისაებრ, წმიდათა არსითა და ალილუიათი შევამკობთ სამებასა განუყოფელსა და შეურყვნელსა:

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგკწყალენ ჩუენ (3-გზის).

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგკწყალენ ჩუენ; უფალო, გვკსენ და გვლხინე ცოდვათა ჩუენტაგან; მეუფეო, შეგკნდვენ უმჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგკწყალენ. (3-გზის).

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ დღეს, და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენტა და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიკსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

მღდელობან: რამეთუ შენი არს სუფევად...

მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყჳს მიცემისაგან უღონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ. მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ, ნუ განმირისხდები ჩუენ ფრიად, და ნუცა მოიკსენებ უმჯულოებათა ჩუენთა, არამედ მოიხილე ჩუენზედა წყალობითა, ვითარცა სახიერ ხარ, და გკვსენ ჩუენ სამართლად რისხვისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, და ჩუენ ვართ ერნი შენნი, ყოველნივე ქმნულნი კელთა შენთანი ვართ და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენ ზედა და შემიწყალენ ჩუენ.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოწყალებისა კარი განგვლე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რადთა, რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხო-რებად ნათესავისა ქრისტეანეთადასა.

მღდელომან: შეგვწყალენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით, კაცთმოყუარე, ისმინე და შეგვწყალენ.

გუნდი: უფალო, შეგვწყალენ (3-გ ზის).

მღდელომან: მერმეცა გევედრებით, წყალობისა, სიცოცხლისა, მშჯდობისა, სიმრთელისა, დღეგრძელობისა, ცხორებისა, განათლებისა, მოტევეებისა, კეთილად წარმართებისა და მყუდროებისა მონისა (ანუ მხეველისა) ღმრთისა, რათა დაიცვას უფალმან ღმერთმან ჩუენმან სამეუფოდ ქალაქი ესე ჩუენი და წმიდად ესე მონასტერი, ანუ ეკლესიად და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი ივერიისა სიყმილისაგან, სრვისა, ძრვისა, დანთქმისაგან, ცეცხლისა და მაკვილისა, უცხო-თესლთა ზედა მოსვლისაგან, ბრძოლისა და სიკუდიდშემოსილისა წყლოულებისა, რადთა მოწყალე გუექმნეს ჩუენ ღმერთი კეთილად დგომისათჳს სახიერებითა და კაცთმოყუარებითა თჳსითა, და გარეწარაქციოს რისხუად, მარად დღე ჩუენ ზედა მომავალი, და გკვსნეს ჩუენ სამართლად ჩუენ ზედა მოწევნულისა რისხვსაგან, და შეგვწყალნეს ჩუენ.

გუნდი: უფალო, შეგზწყალენ (40-გ ზის).

მღდელობან: შეისმინე ჩუენი, ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო, სასოო ყოველთა კიდეთა ქუეყანისათაო, და რომელნი არიან ზღუათა შინა შორის, და მლხინებელ, და მოწყალე ექმენ შეცოდებათა ჩუენტა, და შეგზწყალენ ჩუენ, რამეთუ მოწყალე და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებასა აღვაგლონთ, მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

სავედრებელი ლოცვა

ჟ, კეთილშუენიერებითა ცისკროვან-ბრწყინვალეო, დიდო მოწამეო გიორგი, მნათობო ყოვლისა სოფლისაო და ახოვანო მკედარო ქრისტჳს ღმრთისაო, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო, შემწეო მორწმუნეთაო და მწუხარეთა სიხარულო და მხიარულებაო, გამომქსნელო ტყუეთაო და ღმრთისა მიმართ მეოხო ყოველთა მვედრებელთა და მადიდებელთა შენთაო.

ჟ, ღმრთივგზრგზნოსანო, დიდო მოწამეო გიორგი! მოგკსენე წინაშე ღმრთისა და ელვარებითა სიწმიდისა შენისაათა მოხედენ სამკვდრებელსა ქართველთასა, და მკვდრსა მას ზედა ერსა ჩუენსა, მართლმადიდებელსა, მძლავრთა კუეთებისაგან მრავალგზის შეჭირვებულსა და განამტკიცე იგი. დაამდაბლე ქუეშე ფერკთა ქრისტიანეთასა წინააღმდგომნი მტერნი, ხილულნი და უხილავნი, და ვითარცა თანამბრძოლ ექმენ დიდგორს ღმრთისმოყუარესა მეფესა დავითს და მიჰმალე უცხო თესლსა ზედა „ძლევაძ საკვრველი“, ეგრეთვე აწ გვიოხე ქრისტჳს მიმართ და გვთხოვე, გარე წარაქციოს რისხვაძ აღდგომილი ჩუენ ზედა, სიმრავლი-საგან ცოდვათა ჩუენტასა, და ლაზარესაებრ აღგვდგინოს მამული ჩუენი - საქართველო - პირველსავე დიდებასა, რაათა არა დასათრგუნველ

ვიქმნეთ მარბიელთა უცხოთა ტომთა და ნათესავთაგან და არცაღა
 ჰსთქუან წარმართთა, სადა არს ღმერთი მათი, რომლისა მიმართ
 აქუთ სასოებაჲ. განამლიერე მსახურებასა შინა უწმიდესი და
 უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
 მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-
 აფხაზეთის მიტროპოლიტი მამად ჩუენი ილია,
 ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და
 ეპისკოპოსნი და ყოველნი სამღდელონი და სამონოზნო წესნი,
 მკედართმთავარნი და ქალაქმთავარნი, მრავ-ალშემძლებელითა
 ძალითა შენითა განამლიერე ქრისტესმოყუარე მკედრობანი, და
 კეთილის-ყოფელნი ჩუენნი, და ყოველნი მართლმადიდებელნი
 ქრისტეანენი.

ჟ, ახოვანო და ღუაწლსა შინა სახელოვანო მოწამეო, წმიდაო გიორგი!
 ღმრთივდიდებულთა საკვრველებითა და ნიშებ-სასწაულითა
 შენითა განათავისუფლე ტყუენი, განჰკურნე უძღურნი, იკსენ
 განსაცდელსა შინა მყოფნი, განარინე ზღუასა შინა მავალნი, მოაქციენ
 ცოდვილნი და შეაწყნარეთ ქრისტესა ღმერთსა, ყოველთა
 შემწყნარებელსა. ყოველნი მარტვლთმოყუარენი და მადიდებელნი
 წმიდისა სახელისა შენისანი ადიდე და სულითა და ჳორცით
 აღამალლე, რადთა სასუფეველისა დიდებასა და დიდადშუენიერსა
 ბრწყინვალებასა ღმრთისასა ღირს ვიქმნეთ ყოველნი, ანგელოზთა
 თანა უგალობდეთ, წმიდათა თანა ვადი-დებდეთ და შენ თანა
 ცხოვნებულნი ვაკურთხევდეთ შენსა გვრგვნოსანყოფელსა მამასა,
 შენსა განამლიერებელსა ძესა და შენ შორის მეტყველსა სულსა
 წმიდასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და
 თაყუანისცემაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ლოცვა მუხლთმოდრეკითა სათქუმელი

ჟ, მოწამეთა და მოღუაწეთა შუენიერებაო, ჩემო საწურთელო და
 ბრწყინვალებაო, ტკბილო სახელითაცა და საქმითა, მეუფისა
 მრავალნყოფიერო ნამუშაკეო, მართალთა ყოველთა სამკაულო,

ურწმუნოთა მტერთა მიმართ საძლეველო დიდო მკედარო ქრისტჳს ღმრთისაო, წმიდაო მთავარმოწამეო გიორგი, რომელმან ჰქადაგე წმიდად და დიდებული სახელი მისი წინაშე მეფეთა და მთავართა უშჯულოთა და შინებათა და ტანჯვათა მათგან არა შესძრწუნდი, არამედ მიიღე წადიერებითა მრავალფერთა მათ ტანჯვათა მიერ სასუმელი იგი წამებისა და უხრწნელებისა გვრგვნი ცხოველსმყოფელისაგან მარჯვენისა მაღლისა დაიდგი, და აწ ცათა შინა წინაშე საყდართა მათ მაღლითა მისითა ანგელოზთა თანა მდგომარე ხარ, ხოლო ქუეყანასა ზედა ნიშთა და სასწაულთა და დიდებულთა საკვრველთა აღასრულებ, რომელთად არა არს რიცხვ, მოვედ აწ და დადევ შორის ჩუენსა და უხუად განგყავ შემსკმელთა შენტა და მგალობელთა მაღლი, წყალობად და ცოდვათა მიტევებად და წარგვმართე ჩუენ გზასა მშჯდობისასა სავანეთა მათ მიმართ საწადელთა, ზეცისა სასუფეველსა ქრისტჳს იესუდს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის ყოველივე დიდებად, პატივი და თაყუანისცემად თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მღდელომან: სიბრძნით!

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, გუაცხოვნენ ჩუენ.

გუნდი: უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

მღდელომან: დიდებად შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებად შენდა.

გუნდი: დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო შეგვწყალებნ (3-გ ზის), გუაკურთხენ.

მღდელმან: ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუბრწუნელისა დედისა თვისისაათა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისითა, და წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისაათა იოაკიმ და ანადსითა, და ყოველთა წმიდათაათა, შეგვწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყუარე.

გუნდი: ამინ.

ერისკაცმა: დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო შეგვწყალენ (3-გზის).

უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაათა, წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისაათა და ყოველთა წმიდათაათა, შეგვწყალენ ჩუენ, ამინ.

ხატისა მისისა მთხუევასა ზედა ვგალობთ ესრეთ:

სიყუარულითა მხედველნი წმიდისა ხატისა შენისანი, ქრისტჳს მკედარო, ახოვანო, სურვილით ამბორს-უყოფთ და შევრდომით გევედრებით: ჰ, წმიდაო, დიდო მოწამეო გიორგი, დაღათუ არა ვართ ღირს ცოდვათა ამათ ჩუენტათჳს, შეგვეწიე, ვითარცა კადნიერებისა მქონებელი, და ცოდვათაგან ბოროტთა და უძლურებათაგან და მრავალთა მათგან საფრჯეთა მტერისაათა გვკსენ სასოებითა მოქენენი შენნი და მგალობელნი.

დედოფალო, ყოვლად ბრწყინვალეო მარიამ, ლოცვითა დიდ-მოწამისა ძლევაშემოსილისა გიორგისაათა წარგვმართენ დღენი ცხორებისა ჩუენისანი, სადიდებულად ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა, ამინ.

გამოკრიბა და შეადგინა თინათინ მჭედლიშვილმა